ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5328577

ნომერი: AR1809503

თარიღი : 10.03.2021

გაცემის თარიღი : 16.03.2021

გაცნობის თარიღი : 18.03.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარიამ ივანიშვილი-დემურიას I ჩიხი, N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტარიელ პაპინაშვილი პ/ნ 01006001079
- ლარსის 1 ბ. 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 10 მარტის AR1809503 განცხადება, რომლითაც ითხოვთ 2020 წლის 03 აგვისტოს № 5143983 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას

პასუხად გაცნობებთ, 2020 წლის 03 აგვისტოს № 5143983 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცებული იქნა ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობაზე.

AR1788942 განცხადებით მოთხოვნილი ცვლილების მიზანია ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით , 2020 წლის 03 აგვისტოს № 5143983 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვვლილების შეტანა ,

ქ. თბილისის ქალაქთგანვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა. ვინაიდან მოცემულ სიტუაციაში მიმდებარე განაშენიანების არეალში არ ფიქსირდება "ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი"-ს ფუნქციით (სამსახურის ელექტრონულ ბაზის კვლევის შედეგად) გაცემული ნებართვები , აღნიშნულიდან გამომდინარე , სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად თქვენი და მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე განხორციელდეს ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა სიმჭიდროვის ზრდის დინამიკით, განაშენიანების ინტენსივობის ზრდით.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სამსახური თვლის რომ, მსგავსი სახით პრეცენდენტის დაშვება შესაძლებელია შემდგომში გახდეს ანალოგიური მოთხოვნების წარმოდგენისა და მსგავსი ფაქტების დამკვიდრების საფუძველი, რაც მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას იქონიებს მიმდებარე ტერიტორიის განვითარებაზე და საფუძველს დაუდებს ამ კონკრეტულ და მიმდებარე ტერიტორიაზე არასისტემური ქაოტური განაშენიანების ტენდენციას, რაც ეწინააღმდეგება ქალაქ თბილისის ქალაქგანვითარების პრინციპებს.

იმისათვის , რომ არ დაირღვეს მიმდებარედ არსებული შენობების განვითარების ინტენსივობა , ბალანსი, სტრუქტურა და შენარცუნებული იქნას მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული განაშენიანება, სამსახური თქვენს მოთხოვნას ცვლილების განხორციელების თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მიწის ნაკვეთის განვითარებას 2020 წლის 03 აგვისტოს № 5143983 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გათვალისწინებით და დაცვით

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.